ფ.მ. დოსტოევსკის ხსოვნისადმი დიდი პატივისცემითა და მოწიწებით.

კობა ცხაკაია

სიყვარულის წიწვოვანი კავშირი

(პიესა ერთ მოქმედებად)

მოქმედი გმირები:

ქალი
კაცი

(სცენა წარმოადგენს სხვადასხვა ინტერიერისა და ნატურის კომბინაციას. ერთი კუთხე, თუ აივანია, მეორე ქუჩაა, მესამე ოთახი და ა.შ. გმირები – ქალი და კაცი ოცდაათს მიტანებული დიდ ქალაქში მცხოვრები მარტოსული ადამიანები არიან. მათ საუბრებს შორის დრო შესაძლებელია ერთი დღიდან რამოდენიმე წლამდე განისაზღვროს...)

სცენა ნელ-ნელა ნათდება. კაცი წევს ტახტზე. უცებ წამოჯდება და იქვე დაგდებული ქურთუკის ჯიბიდან ამოიღებს ქადალდის ნაგლეჯს. რეკავს ტელეფონზე. ქალი ფანჯარას ცილდება, ნელა უახლოვდება ტელეფონს და იღებს მას.

კ ა ც ი: ალო?

ქ ა ლ ი: ალო. გისმენთ? ალო!

კაცი თიშავს ტელეფონს. ქალი ცოტა ხანს დაფიქრებული უყურებს ნომერს, დამფიქსირებულს ტელეფონის ეკრანზე და დარეკავს.

ქ ა ლ ი: ალო? გისმენთ? ალო!

კაცი ტელეფოზე დაფიქსირებულ ნომერს დახედავს და გაუხარდება.

კ ა ც ი: ალო, გისმენთ?

ქ ა ლ ი: ამ ნომერზე დარეკეთ და მერე გათიშეთ?

კ ა ც ი: ჰო?... ვა, როგორა ხარ?

ქ ა ლ ი: კარგად, მაგრამ მე მგონი ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ.

კ ა ც ი: ალო. ალო. გათიშა. ***(კრეფს ნომერს)*** ალო...

ქ ა ლ ი: ალო. გისმენთ.

კ ა ც ი: ეს მე გისმენ. რატომ გათიშე ტელეფონი?

ქ ა ლ ი: სხვაგან მოვხვდი და იმიტომ...

კ ა ც ი: არ მოხვედრილხარ სხვაგან, ზუსტად იქ მოხვდი სადაც უნდა მოხვედრილიყავი.

ქ ა ლ ი: დარწმუნებული ხარ?

კ ა ც ი: დარწმუნებული ვარ.

ქ ა ლ ი: მე კი, ეჭვი მეპარება.

კ ა ც ი: ეჭვები კარგია... ისინი გრძნობებს აღვიძებენ.

ქ ა ლ ი: ნუ მაცინებ.

კ ა ც ი: სასაცილო არაფერი მითქვამს.

ქ ა ლ ი: ***(იცინის)*** მაპატიე... არ მინდოდა შენი წყენინება... მაგრამ ახლა კიდევ ერთხელ გაწყენინებ...

კ ა ც ი: ისევ გათიშავ ტელეფონს?

ქ ა ლ ი: ჰო.

კ ა ც ი: ...არ ყოფილხარ საინტერესო... მშიშარა ყოფილხარ.

ქ ა ლ ი: მართალი ხარ.

კ ა ც ი: უფრო მეტსაც გეტყვი... არასოდეს გქონია სურვილი...

ქ ა ლ ი: აღარ გისმენ.

კ ა ც ი: არასოდეს გქონია სურვილი საერთოდ ყველაფერზე დალაპარაკებოდი ვინმეს...

ქალი თიშავს ტელეფონს. კაცი ჯდება და ტელეფონს უყურებს. პაუზა. ნაზი საცეკვაო მუსიკა. ქალი რეკავს.

ქ ა ლ ი: რატომ აღარ დარეკე?

კ ა ც ი: ***(იღიმება)*** რა ვიცი?...

ქ ა ლ ი: სასაცილოა?

კ ა ც ი: არ გეძინება და მარტო ხარ?

ქ ა ლ ი: შენ?

კ ა ც ი: მეც...

ქ ა ლ ი:...ვინა ხარ?

კაცი: ის ვინც გისმენს და გესაუბრება.
ქალი: ცუდ ხასიათზე ვარ...
კაცი: გისმენ.
ქალი: ***(ამოისუნთქავს)*** ერთი მეგობრის მამა, რომლის ატანაც აღარ მაქვს, ყოველ ჩვენს შეხვედრაზე სულ ერთი და იგივეს ყვება – თუ, როგორ დადიოდა კომუნისტების დროს, რუსეთში... მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან საურთიერთოდ... დღეს ყველაფერი ყელში ამომივიდა და ვეჩხუბე.
კაცი: მერე?
ქალი: იცი, რამდენი წლის იყო მაშინ და რამდენი წლის არის ახლა? ნუთუ ამ შუალედში მის ცხოვრებაში სხვა ღირშესანიშნავი აღარეფერი მომხდარა?
კაცი: ალბათ არ მომხდარა.
ქალი: კრეტინია და მეტი არაფერი...
პაუზა.
კაცი: არა მგონია. ის, უფრო მეოცნებეა. ყველას აქვს თავისი "შიზდრიკები", ისინი ცხოვრების საშინელებების – პრობლემების გადალახვაში ეხმარებიან...
ქალი: ესე იგი მუდმივად იმის გახსენება, რომ ოციოდე წლის წინ რუს-კახპებში დადიოდა ეხმარება ადამიანური სახის შენარჩუნებაში?
კაცი: ალბათ.
ქალი: ესე იგი ჩემთან ტელეფონით ლაქლაქი შენ გეხმარება ადამიანური სახის შენარჩუნებაში?
კაცი: შენც დაგეხმარება.
პაუზა.
ქალი: ...და თან ხელებს ზედმეტა?... მას ვეღარ იტან და გინდა ყველაფერი ერთად შეტენო... მაგარი ბრაზიანი ყოფილხარ.
ქალი: ჰოო?...
კაცი: ჰო!
ქალი: რა ჰოო?...
კაცი: ბრაზიანი ყოფილხარ მეთქი...
პაუზა.
კაცი: ესე იგი ასეა საქმე...
ქალი: რა სიამოვნებას გაძლევს ვიღაც უცნობი ქალის ხმასთან ლაპარაკი...
კაცი: შენ ხმა ხარ?
ქალი: არა, ადამიანი ვარ, მაგრამ შენთვის ხმა ვარ.
კაცი: რატომ?
ქალი: იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ...
კაცი: მე გიცნობ.
ქალი: ტყუილია.
კაცი: არასოდეს ვტყუი.
ქალი: კიდევ ერთი ტყუილი.
კაცი: არასოდეს ვტყუი.
ქალი: ვერ ვხვდები...
კაცი: არასოდეს ვტყუი.
ქალი: კიდევ ერთხელ იტყვი მაგას და ტელეფონს გავთიშავ...
კაცი: არასოდეს ვტყუი...
პაუზა.
ქალი: რა ხუმარა ხარ!
კაცი: ერთ შეკითხვას დაგისვამ, შეიძლება?
ქალი: დამისვი.
კაცი: რას ფიქრობ ჩემზე?
ქალი: შენზე?
კაცი: აი, ამ ორი კვირის მანძილზე რაღაც ხომ ჩამოგიყალიბდა?...
ქალი: პირდაპირ მითხარი რისი გაგება გინდა?
კაცი: რომ გითხრა გეწყინება?...
ქალი: მითხარი!
კაცი: მინდა შენი გული დავიპყრო.
ქალი: ***(იცინის)*** რამდენი წლისა ხარ ბიჭუნი?
კაცი: სერიოზულად გელაპარაკები...
ქალი: რაზე გეტყობა სერიოზულობა? ხმაზე, საქციელზე თუ სიტყვებზე?
კაცი: რატომ ბრაზობ? შენ რას კარგავ, გარდა იმისა, რომ მელაპარაკები და მისმენ... ჩვენ ხომ შეიძლება არასოდეს შევხვდეთ...
პაუზა.
ქალი: რა გინდა?

კაცი: მინდა შენი გული დავიპყრო.
ქალი: მეტი არაფერი?
კაცი: მეტი არაფერი.
ქალი : შენნაირი ავადმყოფების ადგილი საგიჟეშია!
კაცი : ასე რატომ განერვიულდი?
ქალი : იმიტომ, რომ დღეს უკვე მქონდა პატივი შენნაირ დეგენერატს შევხვედროდი. ერთი დღისთვის, ორი უკვე მეტისმეტია!
კაცი : რა, იმანაც გითხრა – შენი გული უნდა დავიპყროო?.. რაზეც უპასუხე – მეტი არაფერი გინდაო, არა?
პაუზა.
ქალი: დიახ. შენ ხომ არა ხარ ის ტიპი?
პაუზა.
კაცი : ალბათ არა.
პ ა უ ზ ა.
ქ ა ლ ი: ვინა ხარ?
კ ა ც ი: ის, ვისაც შენგან არაფერი უნდა... გარდა ერთისა...
ქ ა ლ ი: ***(დამცინავად)*** რა ერთნაირები ხართ კაცები. ყველას მხოლოდ ერთი რამ გინდათ ქალისაგან... ყველაფერზე კი, უარს ამბობთ.

ქალი თიშავს ტელეფონს.
კაცი სიგარეტს უკიდებს და ტელეფონს უყურებს. პაუზა. მუსიკა. ქალი რეკავს.
ქ ა ლ ი: მე ვარ.
კ ა ც ი: ვიცი.
ქ ა ლ ი: უკვე ორი თვეა ერთმანეთს ვემუსაიფებით და სულ მაწუხებს ერთი საკითხი, ვინ მოგცა ჩემი ტელეფონი?
კ ა ც ი: შენ მომეცი.
ქ ა ლ ი: მე შენ არ გიცნობ.
კ ა ც ი: უფრო სწორი იქნებოდა გეთქვა... სახეზე ალბათ, არ მინახიხარო.
პაუზა.
ქ ა ლ ი: ნუ დამცინი.
კ ა ც ი: არ დაგცინი.
ქ ა ლ ი: ***(ტირის)*** ნუ...
კ ა ც ი: რა გატირებს?
ქ ა ლ ი: ყველაფერი შენი ბრალია. ვინ მოგაგზავნა ჩემთან? ვინ?
კ ა ც ი: არავინ!
ქ ა ლ ი: რა სთქვი?
კ ა ც ი: არავინ.
ქ ა ლ ი: იცოდე თუ არ მეტყვი შენს ზარს აღარ ვუპასუხებ.
კ ა ც ი: რა უნდა გითხრა... შენ ხომ იმის გაგონება გინდა, რაც ტყუილია?
ქ ა ლ ი: იცოდე ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდება.
კ ა ც ი: დამთავრდება?
ქ ა ლ ი: ჰოო.
კ ა ც ი: ***(იცინის)*** დამთავრდება!
ქ ა ლ ი: რა გაცინებს?
კ ა ც ი: ეს... ძალიან კარგად გაითამაშე – დამ-თავ-რდე-ბა!
პაუზა.
ქ ა ლ ი: ***(მიხვდა, რომ გამოიჭირეს, იცინის)*** როცა გელაპარაკები, ხანდახან ისე თავისუფლად ვარ, რომ აღარ ვიფიქრო ათას სისულელეზე, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება...
კ ა ც ი: ***(იცინის)*** მეც!
ქ ა ლ ი: სულელივით ნუ იცინი.
კ ა ც ი: არ ვიცინი... თუმცა ვიცინი, იმიტომ, რომ მიხარია...
ქ ა ლ ი: რა გიხარია?
კ ა ც ი: ჩვენ ერთმანეთს, რომ ვჭირდებით... ეს, ასე რომ არ იყოს, მაშინ... არ ვიცი, რა იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში ღირ-შე-სა-ნიშ-ნა-ვი...
ქ ა ლ ი: მართლა?
კ ა ც ი: მართლა.
ქ ა ლ ი: იცი, რაც უფრო დიდხანს გისმენ მით უფრო მჯერა შენი.
კ ა ც ი: ძალიან კარგი.
პაუზა.
ქ ა ლ ი: მაგრამ რაც უფრო მაგრად მჯერა... მით უფრო ვრწმუნდები, რომ არამზადა ხარ?
კ ა ც ი: ვერ გავიგე?

ქალი: რა ვერ გაიგე, ის, რომ მართალი ვარ?

პაუზა.

კაცი: მოდი ერთ რამეზე შევთანხმდეთ. ჩვენ ვიყოთ სატელეფონო მეგობრები. თანაც შეიძლება კარგი მეგობრები გავხდეთ... შეიძლება შეგვიყვარდეს კიდეც ერთმანეთი... მაგრამ პირადად... არასოდეს გავიცნოთ ერთმანეთი... ამაშია იქნება ჩვენი ურთიერთობის ხიბლი.

ქალი : რაღაცით მართლაც გავხარ იმ ტიპს!

კაცი : რომელს? ააა იმას, ვინც პირველმა გითხრა – შენი გული უნდა დავიპყროო?

ქალი : მოდი პირდაპირ თქვი, შენ ის დეგენე... ის ბიჭი ხარ, არა?

კაცი : არასოდეს გავიცნოთ ერთმანეთი... ამაშია იქნება ჩვენი ურთიერთობის ხიბლი.

ქალი: არასოდეს ერთმანეთს...

კაცი: დიიიაااახ.

ქალი: ძალიან... ჟღერადი ხმა გაქვს.

კაცი: მოგწონს?

ქალი: ბარიტონია?

კაცი: სწორია, ბარიტონია.

ქალი: ვერ გიტანთ ბარიტონებო.

კაცი: მერე რა... მერე რა... მერე რა...

ქალი თიშავს ტელეფონს. პაუზა. შეიძლება გადის რამოდენიმე წელი. ისმის მუსიკა. პერსონაჟები ცდილობენ ცალ-ცალკე ცეკვას... ბოლოს ქალი რეკავს.

ქალი: ***(განერვიულებულია)*** ადამიანები ვეძებთ ბედნიერებას, მაგრამ სინამდვილეში ვპოულობთ მარტოობას... როცა ამაში რწმუნდები ირგვლივ უკვე აღარავინაა... და ვედარაფერს გამოასწორებ... როცა დაგიძახებ ხმას ხომ გამცემ? ხომ გამცემ?

კაცი: აუცილებლად.

ქალი: არ დამივიწყებ?

კაცი: არ დაგივიწყებ!

ქალი: რამდენი ხანია ერთმანეთისთვის აღარ მოგვისმენია?

კაცი: დიდი ხანია?

ქალი: უკანასკნელად რამოდენიმე წლის წინ იყო...

კაცი: დროს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს...

ქალი: ასე მგონია, ბოლოს როცა გელაპარაკე სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა...

კაცი: მე ყოველ საღამოს გესაუბრებოდი... ყოველ საღამოს... მაგრამ შენ არ გესმოდა.

ქალი: საუბრები, უამრავი საუბრები დგანს ჩვენს შორის?

კაცი: ბოლოს ფიქრობდი, რომ უბრალოდ, კრეტინი ვიყავი...

ქალი: ეს ის დრო იყო, როცა კითხვით ვიყავი გატაცებული...

კაცი: ***(იცინის)*** შემდეგ გინდოდა, რომ... მაპატიე, მაგრამ აქ შენი ფანტაზიები უტოლდებიან პატარა გოგონას სექსუალურ მოთხოვნილებებს... გსურდა, ტარზანი ვყოფილიყავი, ოღონდ შონ კონერის სახითა და მორგანის ფულებით...

ქალი: ჰო. ეს იყო ოცნებები. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი...

კაცი: შემდეგ დიდი ხნით დამივიწყე...

ქალი: არ დამვიწყებიხარ... უბრალოდ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და უამრავი რამ მოხდა...

კაცი: დღეს კი რატომდაც ისევ ამ ნომერზე დარეკე...

ქალი: მეგონა, რომ...

კაცი: მთელი ეს წლები არც კი გაგხსენებივარ!

ქალი: შენ თვითონ გახსოვდი? რას აკეთებდი? სად იყავი?

კაცი: ყოველთვის შენზე ვფიქრობდი...

ქალი: ხა-ხა-ხა.. ახლა სადა ხარ?

კაცი: ვერ გეტყვი.

ქალი: აქედან ძალიან შორსა ხარ?

კაცი: სადღაც ვარ, რა...

ქალი: რა გქვია? სულ დამავიწყდა.

კაცი: ხომ იცი ეს საიდუმლოდ დარჩება...

ქალი: ყოველთვის?

კაცი: არ ვიცი. ცხოვრება აზარტული თამაშია...

ქალი: ჩვენც გაგვიმართლებს?

კაცი: მაგას ნუ მეკითხები.

ქალი: ყოველთვის ასეთი უჟმური იყავი?

კაცი: ვიყავი. მერე რა?...

პაუზა.

ქალი: არც არაფერი. ჩემი საქმეები კარგად მიდის, შენი?

კაცი: აბა, თუ გამოიცნობ...

ქალი: ვერ გამოვიცნობ. შენ თვითონ მითხარი... რას აკეთებ?
კაცი: არაფერს ისეთს, მაგრამ შენ მაინც ვერ მიხვდები რას.
ქალი: იმის მერე რაც ერთმანეთს აღარ... ნუ მოკლედ იმის, მერე რაც ყველაფერი სისულელე მეგონა... მე-გო-ნა... ბევრი დრო გავიდა.
პაუზა.
კაცი: რაზე ფიქრობდი მაშინ, როცა ჩვენზე ფიქრობდი?
ქალი: შენ?
კაცი: ფოსტაზე. ტელეგრამაზე. წერილზე. კარზე დაკაკუნებაზე... და იმაზე, რომ ასე ადვილია გაიგო იმის მისამართი ვისი ტელეფონიც იცი... მაგრამ...
ქალი: რა მაგრამ?
კაცი: ნამდვილი სურვილები მხოლოდ ოცნებებში უნდა განხორციელდეს...
ქალი: ***(დამცინავად)*** გიყვარს ოცნებები?
კაცი: ვერ გეტყვი.
ქალი: სასწაულს ელოდები?..
კაცი: მხოლოდ ვთამაშობ, რომ ველოდები...
ქალი: სინამდვილეში კი მე მელოდები არა?
კაცი: ალბათ.
ქალი: რას ნიშნავს ალბათ? მინდა, რომ მართლა მელოდე... მთელი სულითა და გულით. მელოდები?
კაცი: ალბათ, არა.
ქალი: რატომ არ მომატყუე? ხანდახან ტყუილი ჰაერივით მჭირდება.
კაცი: შესაძლებელია... მაგრამ მატყუარა არა ვარ.
პაუზა.
ქალი: ...რატომ გაჩუმდი? რას აკეთებ?
კაცი: შენ გელაქლაქები...
ქალი: ახალი ამბავი?! მე იმაზე გეკითხები რასაც ვერ ვხედავ...
კაცი: ვიცი... მგონი მოიწყინე...
ქალი: ალბათ. მიხარია, რომ შენ არსებობ.
კაცი: როგორ მინდა, ეგ რომ სიმართლე იყოს...
ქალი: არ გჯერა?
კაცი: არა.
პაუზა.
ქალი : ***(თამაშობს)*** ერთხელ მაინც, რომ გნახო სადმე... ალბად ეს ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე იქნებოდა.
კაცი : ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ არაფერი ღირშესანიშნავი არ ხდება?
ქალი : ცინიკოსი და იაზვა ტიპი ხარ!
კაცი : შენც... რეალურად შეიძლება ცინიკოსი და იაზვა ტიპები ვართ... თუმცა ტელეფონში ვცდილობთ ვიყო ისეთები, როგორებიც გვინდა ვიყოთ, მაგრამ ვერ ვახერხებთ...
პაუზა.
ქალი: შენი აზრით არ ვარსებობ?
პაუზა.
კაცი: ეგ, ჩემი პირადი საქმეა.
ქალი: როგორ?! სად ვცხოვრობ? რა მქვია? როგორ გამოვიყურები? ეს შენი პირადი საქმეა?
კაცი: არ გახსოვს პირობა? ჩვენ მხოლოდ მაშინ ვარსებობთ, როცა გვესმის ერთმანეთის.
ქალი: დარწმუნებული ხარ?
კაცი: ჯერ-ჯერობით, კი...

კაცი თიშავს ტელეფონს. ხანგრძლივი ზუმერი. ისმის ტელეფონის ნომრის მელოდიური აკრეფის ხმა ქალი რეკავს.

კაცი: რა გინდა?... მალე გათენდება, სამსახურში უნდა წავიდე...
ქალი: არ ვიცი თენდება თუ ღამდება... შენთან ლაპარაკი მინდა.
კაცი: დრო არა მაქვს. ახლა თუ არ მივხედე ჩემს თავს, დამაგვიანდება... არ შემიძლია შენთან საუბარი...
ქალი: სად მუშაობ?
კაცი: სამსახურში...
ქალი: ღარიბ-ღატაკი ხარ?
კაცი: ღარიბი და ღატაკი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ღარიბი – ესაა უფულო ადამიანი. ღატაკი – ესაა უსულო ადამიანი. გაიგე?
პაუზა.
ქალი: რატომ მუშაობ?
კაცი: იმიტომ, რომ... რა სულელური შეკითხვაა!.. შენ არ მუშაობ?

ქალი: მე, ეს წუთია შემოვედი სახლში.

პაუზა.

კაცი: დღესასწაულიდან?

ქალი: დაბ-დღიდან. ისეთი მოწყენილობა იყო...

პაუზა.

კაცი: ერთობოდი, მხიარულობდი, ცეკვავდი...

ქალი: ცოტა-ცოტას... ბოლოს და ბოლოს საგრიალოდ ვიყავი... შეგშურდა ჩემი?

კაცი: მეე... რა სისულელეა... მაგრამ ძალიან მომინდა შენს გვერდით ვყოფილიყავი.

ქალი: არაფერი დაგიკარგავს.

კაცი: არ ვიცი. უნდა წავიდე. ვთიშავ ტელეფონს, მშვიდობით.

ქალი: ნაწყენი ხარ ჩემზე?

კაცი: საიდან მოიტანე!

ქალი: როდის შევხვდებით ერთმანეთს?

კაცი: ***(იცინის)*** როცა, როცა, როცა...

ქალი: როდის?

კაცი: თვალებით გეძებ, სმენით გეძებ...

ქალი: საიდან გეცოდინება რომ ის ვისაც იპოვნი მე ვარ?... ტელეფონი, ხომ საშინლად ცვლის ჩვენ ხმებს...

კაცი: ცვლის... მაგრამ ვიცი, როგორია შენი სიჩუმე. ამის საშუალებით გიპოვნი.

პაუზა.

ქალი: იქნებ უკვე შევხვდით კიდეც!

კაცი: შესაძლებელია.

ქალი: ბევრჯერ შევხვდით?

კაცი: ჰოო...

ქალი: რატომ ვერ გიცანი? შემეძლო დამეძახა შენთვის...

კაცი: ალბათ მარტო არ იყავი.

ქალი: ტყუილია... მაგრამ იცოდე, მე აუცილებლად დაგიძახებდი...

კაცი: მაგრა გოიმურად მაცვია.

ქალი: როგორ არა გრცხვენია!...

კაცი: ყველა ასე ამბობს.

ქალი: მე ხელს არ შემიშლიდა შენი... შენ კი გრცხვენია ჩემი გაცნობა.

პაუზა.

კაცი: აუ, რა დრო გასულა. ახლა კი, ნამდვილად ნახვამდის.

ქალი: როგორ უნდა გიცნო, სადმე შემთხვევით თუ შეგხვდი?

კაცი: არ ვიცი ძალიან ბევრს ვგავარ...

ქალი: ***(იცინის)*** რამე რომ იყოს წამოხვიდოდი ჩემთან ერთად უკაცრიელ კუნძულზე საცხოვრებლად, პატარა და ლამაზ სამოთხეში?

კაცი: უკაცრიელ კუნძულზე, პატარა და ლამაზ სამოთხეში?

ქალი: ჰოო.

კაცი: კარგი იქნებოდა.

ქალი: ოკეანის ზურმუხტისფერ ტალღებში ვეშაპები და დელფინები ინავარდებდნენ... იბობღებდნენ კუები და ათასი ჯიშის პატარ-პატარა ცხოველები.

კაცი: ალბათ ნაპირზე ირბენდნენ, არა?

ქალი: აბა რა...

კაცი: კაკადუებიცა და იადონებიც იფრენდნენ.

ქალი: რა მნიშვნელობა ააქვს! მთავარია, რომ ირბენდნენ და არავის შეაწუხებდნენ... ჩვენი ქოხის ფანჯრებიდან გამოჩნდებოდა კუნძულის შუაგულში აღმართული მწვერვალი?

კაცი: ჩაძინებული ვულკანით!

ქალი: აბა, რა! მოგწონს?

კაცი: არაჩვეულებრივია.

ქალი: იქნებ მეორე კუნძულიც აგვეღო?

კაცი: რად გვინდა?... მოდი ერთი კუნძულით შემოვიფარგლოთ... გააგრძელე იმის აღწერა, რა კარგად ვიცხოვრებდით ორივე ერთ კუნძულზე და როგორ ამოვუყვანდით ერთმანეთს თვალებში "მაზოლებს" და როგორ ბოლოს შეგვზიზღდება ერთმანეთი?

ქალი: შეიძლება შენ შეგძულდე, მაგრამ მე არასოდეს!

კაცი: აბა, რა! ეს მე შემძულდები, შენ კი გამაღმერთებ... გაუძლებ ჩემს ზიზღს? – ვერ გაუძლებ... ამიტომ არავითარი კუნძული ჩვენ არ გვჭირდება...

ქალი: რატომ ამუქებ ყველაფერს?

კაცი: ასე გულუბრყვილოდ რატომ ცრუობ? როგორ არა გრცხვენია?

ქალი: მართალი ხარ, ხანდახან მართლაც ვცრუობ... მაგრამ, არა იმიტომ, რომ ვინმეს გული ვატკინო...

კაცი: თუკი ჩემთანაც ცრუობ, მაშინ ეს დარეკვები რადა საჭიროა?

პაუზა.

ქალი : დღეს ის ტიპი ვნახე!

კაცი : რომელი?

ქალი : აი ის, შენი გული უნდა დავიპყროო ვინაც მითხრა... გახსოვს? ჩემი სამსახურის სასადილოში იდგა და ისე მიყურებდა, ისე მიყურებდა. გაოგნებული, დაბნეული სახით... მაგარი საცოდავი და სასაცილო ტიპია!

პაუზა.

კაცი : ბევრი იცინე?

პაუზა.

ქალი: ერთმანეთს იმიტომ ხომ არ ვურეკავთ, რომ ჩვენთვის არავითარი სამოთხეები და უკაცრიელი კუნძულები არ არსებობენ?

კაცი: არ ვიცი.

ქალი: ***(დამცინავად)*** რამდენი წლისა ხარ?

კაცი: დიდი ხანია სრულწლოვანი ვარ.

ქალი: მელოტი და უკბილო ბებერი, ხომ არა ხარ?

კაცი: არა, მაგრამ ისე მაინც არ გამოვიყურები, შენ რომ გგონია.

ქალი: ამას მნიშვნელობა არა აქვს. მიყ-ვარ-ხარ.

კაცი: ასეთ რამეებს ნუ მეუბნები...

ქალი: მიყ-ვარ-ხარ. შენ გიყვარვარ?

კაცი: გეყო ღადავი.

ქალი: ასე არ უნდა ბრაზობდე.

კაცი: არ ვბრაზობ – ბედნიერ დღეს გისურვებ.

ქალი: მო-მე-ნა-ტრე-ბი...

საცეკვაო მუსიკა. პერსონაჟები ზოგიერთ საცეკვაო ილეთებს სინქრონულად ასრულებენ. კაცი ჯდება და ტელეფონს უყურებს. პაუზა. ქალი რეკავს.

ქალი: რა კარგია, რომ სახლში ხარ!

კაცი: ძვირფასო, იცი მე...

ქალი: ***(ნერვიულად)*** ნუ მეძახი ძვირფასს... თუმცა, დამიძახე – ძვირფასი, დამიძახე რაც გინდა.. რისი თქმა გინდოდა ჩემთვის?

კაცი: რამდენი ხანია ერთმანეთთან ვურთიერთობთ?

ქალი: მერე?

კაცი: ბევრი ვიფიქრე ჩვენი ბოლო საუბრის შემდეგ და გადავწყვიტე... მოდი პირად ცხოვრებაში ნურაფერზე ვიტყვით უარს... ვაკეთოთ ის რაც გვინდა და ნუ დავაბამთ ერთმანეთს ზედმეტი... გრძნობებით.

ქალი: ***(დამცინავად)*** საქმე იმაშია, რომ მე მინდა ვიყო შენზე დამოკიდებული, შენ კი არ გინდა... ალბათ იმიტომ, რომ გსურს აეტორღიალო ყოველ გრძელფეხებიან გოგონას, რომელიც მოგეწონება... მანამ უმტკიცო, მას სიყვარული სანამ შენსას არ მიაღწევ... მერე მოგინდება გაექცე იმ საცოდავ, დაბრიყვებულ არსებას და მთელი დღეები იმის შიშში გაატარო შენი სექსუალური ვნებების მსხვერპლმა თავის თავს რაიმე საშინელება არ უყოს, ან მისიანებმა რაიმე არ დაგმართონ... არც კი იცი, რომ იმ გოგონასაც და მისიანებსაც ფეხებზე ჰკიდიხარ, რადგან არაფერი ხარ. ცარიელი ადგილი ხარ... როცა ამას ხვდები, კომპლექსები გიპყრობს და მე მირეკავ. მიყვები შენი წარმატებების შესახებ, მეხვეწები, მათ მაგივრად გაგიგო და შეგიბრალო... რით განსხვავდები იმ ბერბერი "მარაზმისაგან", მოსაგონებლად მხოლოდ რუს-კახპებში "გულაობა" რომ ახსოვს?... შენ გგონია არ ვიცი მათ ჩემზე რომ უყვები?

პაუზა.

კაცი: შენს შესახებ არავინ იცის?

ქალი: ყველას უყვები... ტელეფონზე გამოიჭირე ერთი სულელი გოგონა და მაღალ მატერიებზე საუბრებით აქლიავებ... ის ხომ, ერთგვარი სათადარიგო ვარიანტია... იმ შემთხვევისათვის.

კაცი: რა შემთხვევისათვის?

ქალი: იმ შემთხვევისათვის, თუ შენთვის ამ ქვეყანაზე სხვა ქალები გაწყდება!

პაუზა.

კაცი: ***(ხმას აუწევს)*** რა მოგივიდა? შენთან ატომური ბომბი, ხომ არ ააფეთქეს?...

პაუზა. ქალი თიშავს ტელეფონს. ქალი უახლოვდება კაცს და თითქოს ხედავს მას, მაგრამ ბოლოს შებრუნდება და იღებს ტელეფონს. ისმის ქუჩის ხმაურები.

ქალი: ...სადა ხარ?

კაცი: მგონი ძალიან ახლოს. დემონსტრაციაზე.

ქალი: დემონსტრაციაზე! მეც აქა ვარ.

კაცი: შენი ხმა არც ისე კარგად ისმის, ალბათ ტრიბუნასთან დგეხარ. მე კი ხეების ჩრდილში ვარ.
ქალი: ჩვენ მაინც ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვართ.
კაცი: ჰოო.
ქალი: შევხვდებით?
კაცი: როდის?
ქალი: მიწისქვეშა გადასასვლელთან. გამოხვალ?
კაცი: არა.
ქალი: ნუ სულელობ.
კაცი: რომც დამინახო, მაინც ვერ მიცნობ.
ქალი: ასე არ შეიძლება.
კაცი: ჩვენ აქ სულ სხვა რამის გამო ვდგავართ...
ქალი: მიწისქვეშა გადასასვლელთან მოდი. იცოდე ყველას დავაკვირდები და მაინც გიცნობ.
კაცი: *(იცინის)* არ მოვალ.
ქალი: *(კატეგორიულად)* შემპირდი, რომ მოხვალ. გელოდები...
კაცი: არა.
ქალი: მოხვალ!
პაუზა.
კაცი: დარწმუნებული ხარ, რომ ერთი და იგივე დემონსტრაციაზე ვართ? ერთსა და იმავე ქალაქში? ერთსა და იმავე დროს?
ქალი: აბა, რა.
კაცი: იქ სადაც მე ვარ, მიწისქვეშა გადასასვლელი არ არის.
ქალი: დამცინი?
კაცი: არა.
ქალი: დამცინი. *(ბრაზდება)* ხანდახან მგონია, რომ შენ საერთოდ არ არსებობ...
კაცი: რატომ?
ქალი: იდიოტივით ცხოვრობ და გინდა მეც იდიოტი ვიყო...
კაცი: ტყუილია.
ქალი: *(ტირილს აპირებს)* დამცინი.
კაცი: ნუ ტირი!
ქალი: რატომ დამცინი?
კაცი: საიდან მოიტანე!
ქალი: ხედავ თაბაშირის ბუტაფორიულ ცხენი როგორ მოათრიეს?
კაცი: იქ სადაც მე ვარ არ არის...
ქალი: *(კატეგორიულად)* ხედავ თუ არა თაბაშირის ბუტაფორიულ ცხენს?
კაცი: *(ამოიხვნეშებს)* ვხედავ.
ქალი: როგორი უსიცოცხლო თვალები აქვს.
კაცი: ალბათ.
ქალი: მუცელიც გამოშიგნული ჰქონია... ახლა მას ზურგზე ერთი ტიპი შემოაჯდა, და ცხენმა საშინელი ჭრიალი დაიწყო... ჭრიალი დაიწყო... ამის მერე, არ უნდა ვიტირო?
კაცი: მეც მინდება ხანდახან ტირილი, მაგრამ არ შემიძლია...
ქალი: ბოლოს როდის მოგინდა ტირილი?
პაუზა.
კაცი: როცა ერთ პატარა ბიჭუნას მილიონი კუპონი წაართვეს... იმ, ფულით მულტფილმების კასეტის ყიდვა უნდოდა...
ქალი: ვინ წაართვა ფული?
კაცი: მოდი ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.
ქალი: მაშინ რატომ გაიხსენე ეგ ამბავი?
კაცი: იმიტომ, რომ შენ მკითხე ბოლოს როდის მოგინდა ტირილიო?
პაუზა.
ქალი: ისე არ უნდა იფიქრო, თითქოს შენი ნახვით გული დამწყდება... ისეთი მიყვარხარ როგორიცა ხარ...
კაცი: როგორი ვარ?
ქალი: აი, ისეთი...
კაცი: შენ არ იცი სინამდვილეში ვინ ვარ.
პაუზა.
ქალი: ალბათ, ასეთია ჩემი ბედი.
კაცი: ასეთია, ჩემი ბედი... გჯერა ამ სისულელეების?
ქალი: აბა, საერთოდ რატომ გელაპარაკები?
კაცი: იქნებ იმიტომ, რომ მოწყენილი ხარ?
ქალი: *(იცინის)* მოწყენილი? დემონსტრაციაზე?

კაცი: უყურებ აქციას, მაგრამ უაზრობად და მოსაწყენად მიგაჩნია ის რაც იქ ხდება. იმიტომაც მელაპარაკები...
ქალი: კარგად იცი, რომ ცრუობ.
კაცი: მაშინ ამიხსენი.
პაუზა.
ქალი : გა-მო-სა-ვა-ლი-ვი-პო-ვე!
კაცი : კარგია!
ქალი : მიგამსგავსებ იმას ვისაც მინდა და მერე დავიჯერებ, რომ ის ხარ... დროთა განმავლობაში ის, მართლაც შენ გახდები... ასე დასრულდება შენი სატელეფონო არსებობა!
კაცი : ის ვისაც უნდა მიმასგავსო, თუ მართლა მე გამოვდექი, მაშინ...
პაუზა.
ქალი: იმიტომ გესაუბრები, რომ... ახლა ყველაზე ბედნიერი ვარ.
კაცი: თაბაშირის, ბუტაფორიულ ცხენის გამო?
ქალი: ბედნიერი ვარ, მაგრამ რაღაც მაკლია...
კაცი: რა გაკლია? ხომ იცი, რომ შენს გვერდით ვარ.
ქალი: მაგრამ სხვა ქალაქში, სხვა დროს.
კაცი: ალბათ.
ქალი: გეხვეწები, ვიყოთ ბოლომდე გულწრფელები.
კაცი: გეხვეწები? გულწრფელი?... ჩვენს მეტი ლაპარაკში ვინღა ხმარობს ამ სიტყვებს?!
ქალი: მიწისქვეშა გადასასვლელთან მოდი. იცოდე ყველას დავაკვირდები და მაინც გიცნობ.

კაცი თიშავს ტელეფონს. ქალაქის ხმაურები ექოსავით გაისმის, ისინი თითქოს თავისებურ მელოდიას აჟღერებენ... ქალი რეკავს.
ქალი: სადა ხარ?
პაუზა.
კაცი: არსად. სახლში მივდივარ. შენ?
ქალი: ვსეირნობ, იცი სად? მდინარის სანაპიროზე?... ნეტა თუ აქვთ მდინარეებს უკაცრიელი კუნძულები?
პაუზა.
კაცი: არა. მარტო ხარ?
ქალი: არრა, აქ ჩემი ახლობელია, ხელს არ შეგვიშლის. რას აკეთებ?
კაცი: ქუჩაზე გადავდივარ.
ქალი: მანქანები გიჟებივით დაჰქრიან. ფრთხილად იყავი.
კაცი: წვიმისაგან ყველაფერი სველია... ფრთხილად უნდა ვიყო, რომ მანქანამ არ დამარტყას..
ქალი: მთვრალი ხარ?
კაცი: არც ისე, უბრალოდ მაქანავებს.
ქალი: რა გჭირს? ამდენი, რატომ დალიე?
კაცი: აბა, თუ მიხვდები.
ქალი: დაჭრილ-დადაგული ხარ?
კაცი: ***(იცინის)*** კი.
ქალი: იმედი დაჰკარგე?
კაცი: დაახლოებით.
ქალი: გიჭირს სიარული?
კაცი: არა, მეც სიამოვნებით ვსეირნობ. განსაკუთრებით კარგად გატარებული საღამოს შემდეგ.
პაუზა.
ქალი: გეყოფა.
კაცი: რა მეყოფა?
ქალი: სიამოვნებაზე ამდენს ნუ ლაპარაკობ...
კაცი: რაზეც მინდა, იმაზე ვილაპარაკებ.
ქალი: კარგი ბატონო... ჩემზე მოიფხანე გული... ისიამოვნე.
კაცი: ვისიამოვნებ. მე ხომ სადისტი ვარ. იცი, ქალებს გაქვთ ნგრევის, განადგურების ტალანტი...
ქალი: ტალანტიც ვყოფილვარ!
კაცი: შენნაირები ალყაში აქცევენ ჩემნაირებს და ელოდებიან, ისინი თავისით როდის დაინგრევიან... ასე ცხოვრობთ რა, ერთობით.
ქალი: ვცხოვრობთ და ვერთობით!
კაცი: ჰოო... შენ ძალიან ნიჭიერი და ჭკვიანი ქალი ხარ! ყოველთვის ახერხებ ჩემთან იყო, მაგრამ სინამდვილეში არ არსებობდე...
ქალი: მერე რა?
კაცი: მე ვარსებობ?

ქალი: ღმერთი, თუ არსებობს, მაშინ იქნებ მართლაც ვიპოვოთ ერთმანეთი.
პაუზა.
კაცი: ღმერთი კარგია, როცა არ იცი ცურვა... როცა არა გაქვს ფული, როცა თოფს გიმიზნებენ, როცა სველდები ქუჩაში, როცა გინდა ის, რაც ძალიან გინდა... მოიცადე, რარაც საქმე მაქვს...
პაუზა.
ქალი: მეგობარმა, მკითხა სადმე ხომ არ შევიდეთ და დავსხდეთო?...
პაუზა.
კაცი: მერე რაშია საქმე? თუ გინდა უნდა შეხვიდეთ და დასხდეთ...
ქალი: ყველაფერზე შემიძლია უარის თქმა, თუკი ეს ვიღაცას უნდა...
კაცი: მჯერა.
ქალი: მომიყევი, როგორ წაართვეს პატარა ბიჭს ფული! მომიყევი!
კაცი: ***(იღიმება)*** იქ ერთი მილიონი კუპონი იყო... ცოტა ფული იყო. შენი მეგობარი მოგწონს?
ქალი: ალბათ.
პაუზა.
კაცი: გიყვარს?
ქალი: შენ იცი, რომ არ მიყვარს... ამდენ ხანს აბა, რატომ გელაპარაკები?
კაცი: მაშინ რატომ, ხარ მასთან ერთად?
ქალი: ძნელია მარტოობა. ვინმესთან ურთიერთობა გინდება... სასიამოვნო ადამიანია...
კაცი: სასიამოვნო ადამიანი?!
ქალი: ნუ ეჭვიანობ.
კაცი: ალბათ ყოველთვის უამრავი ტიპი გახვევია გარს...
ქალი: მაგრამ შენთან ერთად ბედნიერი ვიქნებოდი.
კაცი: ბედ-ნი-ე-რი?
ქალი: ასე, რატომ იკითხე?
პაუზა.
კაცი: შენს მეგობარზე უნდა იზრუნო. ის ალბათ უკვე ფიქრობს – ამას ვის გადავეყარეო... მთელი ამ ხნის მანძილზე სიგარეტს-სიგარეტზე ეწევა და გითვალთვალებს?
ქალი: მადლობთ მისი არსებობა, რომ შემახსენე... თურმე, საკუთარი თავით ძაალლიიაან ვყოფილვარ დაკავებული... ისიც მობილით ელაპარაკება ვიღაცას. დეგენერატი.
პაუზა.
კაცი: რატომ ბრაზობ. შენც ხომ ლაპარაკობ ტელეფონით?
პაუზა.
ქალი: მე შენი მტერი ვარ.
პაუზა.
კაცი: მშვენიერია... იყო ჩემნაირი და... გქონდეს მტრის წონა.
ქალი: მტრობა რამდენს იწონის?
კაცი: იმდენს რამდენსაც სიყვარული.
ქალი : ***(იმეორებს)*** იმდენს რამდენსაც სიყვარული... დღეს ვიღაცამ წარმოთქვა ეგ სიტყვები?
კაცი : სიტყვებს ყოველთვის ვიღაცეები ამბობენ!
ქალი : არა, ასეთი ინტონაციით სიტყვებს ყველა არ ამბობს, რიგში ვიდექი, ჩემს უკან თანამშრომლები იდგნენ და ათას სისულელეზე საუბრობდნენ... მაგრამ, ვიღაცამ თქვა – იმდენს რამდენსაც სიყვარულიო... მივიხედე მათკენ და...
კაცი : მაპატიე, მაგრამ მეტს ვეღარ დაგელაპარაკები, ტელეფონი დამიჯდა. მერე დავილაპარაკოთ!
ქალი: მოიცადე.

კაცი თიშავს ტელეფონს.
ხანგრძლივი პაუზა. ისმის ტელეფონის ნომრის მელოდიური აკრეფის ხმა. ქალი რეკავს
კაცი: რაზე ფიქრობდი?
ქალი: ჩემს შესახებ იმაზე მეტი იცი, ვედრე მე შენს შესახებ...
პაუზა.
კაცი: ყურადღება უნდა მიაქციო იმათ ვისაც შეხედვის ღირსად არ თვლი... დაინახო ისინი და ალბათ მეც დამინახავ.
ქალი: მითვალთვალებ. მე, რატომ არ შემიძლია დაგინახო?
კაცი: შენი თვალები, ვერაფერს ხედავენ...
ქალი: ***(იცინის)*** მოგცლია ერთი შენც!
პაუზა.
კაცი: არ გწყურია?
ქალი: დავლევ რაღაცას შევჭამ ვიღაცას.
კაცი: სად იყავი ამდენ ხანს? რატომ არ რეკავდი?

პაუზა.

ქალი: და-მა-ვიწ-ყდა.

კაცი: ეს პირველი შემთხვევა არ არის...

ქალი: მომბეზრდა სისულელეები.

კაცი: ესე იგი ყველაფერი მოგბეზრდა?...

ქალი: არა – არა, მაგრამ...

კაცი: არ გაინტერესებს რას ვფიქრობდი?

ქალი: ახლა არ მაინტერესებს... ხვალ, კი... რა უცნაური სიჩუმეა ირგვლივ... ნუთუ ყველას სძინავს?

კაცი: არ ვიცი. როცა სძინავთ, ადამიანები მაშინაც კი ხმაურობენ, მაგრამ როცა ელოდებიან მაშინ ირგვლივ მართლაც არანაირი ხმაური არ ისმის...

ქალი: დალევ რამეს?

კაცი: ***(იცინის)*** დავლევ რაღაცას, შევჭამ ვიღაცას.

ქალი: მაპატიე, ვერ გავიგე რა მითხარი...

კაცი: მოყევი, დროს როგორ ატარებ...

ქალი: ყვებიან თავგადასავლებს... მე კი ისეთ, სამყაროში ვცხოვრობ, სადაც არაფერი ხდება...

კაცი: ჩვენი საუბრები არაფერია?

ქალი: ჩვენი საუბრები?.. ჩვენ ერთმანეთის ცხოვრებაში არაფერი შეგვაქვს ისეთი, რომ შესამჩნევი იყოს...

პაუზა.

კაცი: სიჩუმე... რამდენი რამ შეიძლება ითქვას სიჩუმით...

ქალი: რატომ იწყებ ჩემთვის არსებობას, მხოლოდ მაშინ როცა ლაპარაკობ?

კაცი: მე მაშინაც ვცოცხლობ, როცა არ ვლაპარაკობ.

ქალი: ამას ვერ ვხედავ... ესე იგი შენ ისევ, ტყუი... შენს შესახებ ჩემს მეგობარს – იმას მოვუყევი...

კაცი: მერე?

ქალი: იმან ხა-ხა-ხა-ო, და მეც ბევრი ვიცინე..

პაუზა.

კაცი: რატომ ელეპარაკები ჩვენზე უცხო ხალხს?

ქალი: ის ჩემი ახლობელია.

კაცი: ის შენი მეგობარია, მაგრამ როცა საქმე მე და შენ გვეხება, უცხო!

ქალი: რატომ ყვირი?

პაუზა.

კაცი: არ ვმალავ – შემიყვარდი... შესაძლებელია სახეზე ისეთი ლამაზი არა ხარ... იქნებ ცხოვრებამ ისე შეგნიღბა და დაგფარა, რომ ვეღარც კი გიცნო სინამდვილეში როგორი ხარ... მაგრამ შენი ხმა, მე მეკუთვნის... დანარჩენი კი სურვილი და ფანტაზიაა... არ შეგვიძლია გიყვარდეს ერთმანეთი მზესავით, ვარსკვლავივით, ღრუბლებივით? ასე უფრო არ გავდატაკდებით.

ქალი: ***(იცინის)*** აფრენ?

პაუზა.

კაცი: ვაფრენ? არა, ვცდილობ ვიყო შენთან ისეთი როგორიც მინდა ვიყო, მაგრამ არ შემიძლია... მე შენ მწყურიხარ? ჩვენი საუბრები მწყურია?

ქალი: ***(გაღიზიანებულია)*** დიდი მადლობა ყველაფრისათვის, რაც მითხარი... მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ახლა მირჩევნია ტელეფონი გავთიშო და წავიდე... ოდესღაც შევხვდებით ან არ შევხვდებით ერთმანეთს... შენს გარდა სხვებიც არსებობენ...

კაცი: არ წახვიდე...

პაუზა.

ქალი: ცუდად ვარ რა უკვე!

კაცი: არ წახვიდე... არ წახვიდე.

ქალი: რა საცოდავი ხარ! რა საცოდავი ვარ! ვერ ვიტან საცოდავებს! გული მერევა!

კაცი: მაშინ შენ დიდი ხნის მკვდარი ყოფილხარ... მე კი უბრალოდ მეჩვენებოდი...

ქალი თიშავს ტელეფონს.

კაცი ჯდება და ტელეფონს უყურებს. პაუზა. ქალაქის ხმაურები ექოსავით გაისმის. ქალი რეკავს.

ქალი: გესმის ჩემი?

კაცი: მესმის.

ქალი: რამდენჯერ დაგირეკე, შენ კი ტელეფონი გათიშული გქონდა, რატომ?

კაცი: ჰოო.

ქალი: მოხდა რამე?

კაცი: არაფერი ისეთი.

ქალი: არ გინდა მომიყვე?

კაცი: მეძინა, გამაღვიძე და ახლა ისევ მეძინება.
ქალი: ამ დროს არასოდეს იძინებდი...
კაცი: მეძინებოდა და დავიძინე.
ქალი: მარტო ხარ?
კაცი: კი.
ქალი: ყოველთვის მარტო ხარ?
კაცი: თითქმის.
ქალი: ვინ არის შენთან?
კაცი: ერთი პატარა ლოკოკინაა.
ქალი: ერთი ვინ?
კაცი: გიყვარს ლოკოკინები?
ქალი: ბაღში ხარ?
კაცი: არა სახლში.
ქალი: რა ხდება შენთან?
პაუზა.
კაცი: ***(იცინის)*** ...ელამის შეყვარება შეგიძლია?
ქალი: ელამი ხარ?
კაცი: არა, მაგრამ...
ქალი: დარწმუნებული ვარ, ჩვენს ურთიერთობას ეს ხელს არ შეუშლიდა... მარტო სილამაზეს, რომ ვაფასებდე მაშინ სხვებივით ვიქნებოდი...
კაცი: ვინ სხვებივით?
ქალი: სხვებივით.
კაცი: ***(დამცინავად)*** ვისთან ერთადაც ახლა ხარ?
ქალი: ეჭვიანობ?...
კაცი: კარგი რა!
ქალი: არ გინდა შენს თავზე რაიმე მომიყვე?
კაცი: ესე იგი შენ გინდა ჩემი ცხოვრების ისტორიის საიდუმლოებებს ეზიარო? ***(იცინის)*** ვერაფერს მოვყვები? მაგრამ იმედია მომავალში ამას შევძლებ.
ქალი: ასეთი უბედური ხარ?
კაცი: უბედური არა, არამედ – არა ბედნიერი!
ქალი: სასოწარკვეთილი?
კაცი: არ ვიცი... ალბათ.
ქალი: სასოწარკვეთილი არ უნდა იყო... მე, ხომ თითქმის შენს გვერდითა ვარ.
კაცი: შენი სარკაზმი, როგორც ყოველთვის დამაიმედებლად ჟღერს.
ქალი: ეს დროებითია, მალე გამივლის.
კაცი: დაგელოდები...
პაუზა.
ქალი: ესე იგი შენ გყავს ლოკოკინა.
კაცი: მყავს. ის ძალიან კეთილი და ყურადღებიანია... სახლში, როცა მოვდივარ, მას ყოველთვის ადვილად ვპოულობ... ის, ორნამენტის მაგვარ კვალს ტოვებს.
ქალი: იატაკზე?
კაცი: ჰოო. ყოველთვის სხვადასხვა ორნამენტია... თითქოს ამით რაღაცის თქმა უნდა... ბოლოს და ბოლოს აუცილებლად ვისწავლი მის ენას და გავიგებ რა უნდა...
ქალი: ლოკოკინა რად გინდა?
კაცი: ამის ახსნა შეუძლებელია... იმიტომ, რომ აღარ მახსოვს.
ქალი: რა აღარ გახსოვს?
კაცი: სისულელეა ამდენი დალევა... მეგონა მიშველიდა...
ქალი: ბევრი დალიე?
კაცი: მთელი ღამე ვუბერავდი...
ქალი: ვისთან ერთად?
კაცი: ლოკოკინასთან ერთად...
ქალი: გინდა გალოთდე?
კაცი: დიახ.
ქალი: რატომ?
კაცი: რატომ? როდის? ვითომ?... აბა დაფიქრდი, რატომ სვამენ, რატომ ჩხუბობენ, რატომ იტანჯებიან ადამიანები. თუ შენით ვერ მიხვდები, მაშინ – წაიკითხე, წიგნები, სცენარები, პიესები, გაზეთები... უყურე ტელევიზორს. მოუსმინე რადიოს.
პაუზა.
ქალი : გუშინდელი დღე არა მარტო შენთვის იყო საშინელი. ასე რომ, ნუ მეიაზვები!
კაცი : რა სიტყვაა მეიაზვები. ვერ ვიტან... თუმცა შენ საკმაოდ მიმზიდველად ამბობ მას – ნუ მეიაზვები! ნუ მეიაზვები! ნუ მეიაზვები!

ქალი : ჰოო, საერთოდ ესეთი აუტანელი და მიმზუდველი ვარ... რატომ აყენებთ კაცები ქალებს შეურაწყოფას და მერე გინდათ ყველაფერი ხუმრობაში გაატაროთ!

პაუზა.

კაცი : ვიღაცამ გაწყენინა?

ქალი : ჰოო, მას შენც იცნობ.

კაცი : "დეგენერატზე" ამბობ?

ქალი : სხვათა შორის, გუშინდელ დღემდე, რაღაც ადამიანურს კიდე ვხედავდი მასში... მაგრამ გუშინ ძალიან მაწყენინა, თანაც მისგანაც საერთოდ არ მოველოდი ამას... როცა არ ელოდები ისეთი მტკივნეულია და დამამცირებელი. მერე კი ეცადა ბოდიშის მოხდას, შერიგებას... მაგრად მოვიფხანე გული... სილა გავაწანი...

კაცი : იმან რა ქნა!

ქალი : უარესი შეურაწყოფა მომაყენა! გაიცინა!

კაცი : გახსოვს, შენ რა უთხარი?

ქალი : არ მახსოვს!

პაუზა.

კაცი : არ დაგავიწყდეს, სიტყვები უფრო სწრაფად კლავენ, ვიდრე...

პაუზა.

ქ ა ლ ი : კიდევ დალევ?

კ ა ც ი : ***(დამცინავად)*** ძალიან გინდა, ეს შენზე იყოს დამოკიდებული?

ქ ა ლ ი : რა უნდა ვქნა?

კ ა ც ი : არაფერი.

ქ ა ლ ი : მინდა ვიზრუნო იმაზე ვისაც ვუყვარვარ.

კ ა ც ი : ***(იცინის)*** ვისაც ვუყვარვარ... რა აუცილებელია უყვარდე იმას ვინც გიყვარს?

ქ ა ლ ი : ყველაფრის მიუხედავად ხომ გიყვარვარ?

პაუზა.

კ ა ც ი : ***(იცინის)*** ჩვენ მხოლოდ ვუსმენთ ერთმანეთს.

ქალაქის ხმაურები ექოსავით გაისმის, ისინი თითქოს თავისებურ მელოდიას აყღერებენ, ის ნელ-ნელა სასიამოვნო მელოდიაში გადადის. ქალი რეკავს.

ქ ა ლ ი : რას აკეთებ?

კ ა ც ი : კარაქიან პურს და ყველს – ვკბეჩ, ვღეჭ და ვყლაპ – ავ!

ქ ა ლ ი : ყავას აყოლებ, თუ ჩაის?

კ ა ც ი : თუ გინდა... ყავას.

ქ ა ლ ი : წითელი, პლასტმასის პატარა ფინჯნით?

კ ა ც ი : ჩემნაირებს არა აქვთ ყავის წითელი ფინჯანები, ისინი "კოკა-კოლას" ან "ცივ ჩაის" პირდაპირ ბოთლებიდან სვამენ...

პაუზა.

ქ ა ლ ი : ზოგჯერ მგონია, კარგი მსახიობი იქნებოდი. თუმცა მსახიობი არა ხარ... არის, რაიმე რაც ნამდვილ სიამოვნებას განიჭებს?... მითხარი, რაიმე თუ განიჭებს ჭეშმარიტ სიამოვნებას?

კ ა ც ი : მანიჭებს.

ქ ა ლ ი : რა?

კ ა ც ი : რაღაც-რაღაცეები... თუნდაც შენთან საუბრები...

ქ ა ლ ი : ტყუილია. ქალი ვარ და ვხვდები, რა გემართება როცა მელაპარაკები... როგორ იტანჯები... სხვასთან ყოფნა გინდება, არა?... გეჩვენება, რომ რაღაც ახალ პერსპექტიულ შესაძლებლობას უშვებ ხელიდან...

კ ა ც ი : ვერ გავიგე, რას ამბობ!

ქ ა ლ ი : რა ვერ გაიგე დეგენერატო?... როცა მიდიხარ – გინდა იჯდე, როცა ზიხარ – გინდა ლაპარაკობდე, როცა ლაპარაკობ – გინდა მუნჯი იყო. ნერვიულობ, იტანჯები, წვალობ – იმას, რომ ბოლომდე არასოდეს ხარ მასთან ვისთანაც ახლა ხარ... ამის გამო სინდისი გქენჯნის... მეცოდები... თანაგიგრძნობ და მეცოდები... საშინლად უბედური ხარ.

პაუზა.

კ ა ც ი : ***(ტაშს უკრავს)*** ბრავო. მაგარი ხარ... ამას ჩემზე ლაპარაკობდი, თუ საკუთარ თავზე?

ქ ა ლ ი : ორივეზე.

პაუზა.

კ ა ც ი : რატომ დარეკე?

ქ ა ლ ი : ახლა ვკითხულობდი გაზეთს... ის მოკლესო, ეს მოკვდაო და რაღაც-რაღაცეებიო? ჰოდა დავრეკე? როგორა ხარ?

კ ა ც ი : ***(ახველებს)*** რა გინდა, ხომ ხედავ შენს გამო სასულეში ლუკმა კინაღამ გადამცდა?

ქ ა ლ ი : იმ ბიჭუნას ისტორიაზეც ვფიქრობდი, შენ რომ უნდა მოგეყოლა?

კ ა ც ი : ვისაც ფული წაართვეს.

ქალი: ყველა ისტორია, რომელიც ჩვენ არ გადაგვხდა, მაგრამ გვახსოვს, ერთგვარი იგავ-არაკია ცხოვრებაში გადატანილი ტრაგედიისგან წარმოქმნილი... ბიჭი შენ ხარ... ის რაც წაართვეს სიყვარული მგონია... თუმცა ეს ყველაფერი, შეიძლება, მართლაც სისულელე იყოს... მაგრამ ძალიან მინდა ვიცოდე ვინ და რატომ წაართვა პატარა ბიჭს ფული...

პაუზა.

კაცი: რად გინდა?...

პაუზა.

ქალი: მე... შენ ძალიან მჭირდები.

კაცი: იქნებ ცუდი ადამიანი ვარ.

ქალი: ტყუილია. შენ... ჩვენ ბევრ რამეს ვუყვებით ერთმანეთს. შენ ყველაფერი გესმის...

კაცი: ვერაფერში დაგეხმარებოდი... თანაც ამით არაფერი შეიცვლებოდა...

ქალი: რატომ?

კაცი: აზრი არა აქვს... მინდა, რომ ბედნიერი ვიყო და მეტი არაფერი...

პაუზა.

ქალი: მიყვარხარ.

პაუზა.

კაცი: იმიტომ, რომ არასოდეს შევხვდებით ერთმანეთს?

ქალი: რა არის შენში ასეთი მიმზიდველი?

კაცი: გაინტერესებს?

ქალი: რის გამო ვურეკავთ ამდენი ხანია ერთმანეთს?

კაცი: ამაში არაფერია განსაკუთრებული... უბედურები ყოველთვის ინტერესს იწვევენ.

ქალი: უბედური ხარ?

კაცი: ამ წუთას არა...

პაუზა.

ქალი : გუშინ დაგინახე?

პაუზა.

კაცი : სად?

ქალი : გაჩერებაზე იდექი. ვითომ გაზეთს კითხულობდი, სინამდვილეში კი მითვალთვალებდი!

პაუზა.

კაცი : იქ, ვიდაც "დიფუზორიასთან" ერთად კისკისებდი და შენთან სალაპარაკოდ, იმიტომ არ მოვედი...

ქალი: *(იცინის)* დიფუზორია! დიფუზორიასთან ერთად, მართლაც რაღაცით ჰგავს! ეს ის ტიპია ვისაც მაშინ სილა გავაწანი... დიფუზორია რას ნიშნავს? თუმცა ამას არა აქვს მნიშვნელობა. სიტყვა ძალიან შეეფერება მის იერს!.. ის ტიპი შენ არ იქნებოდი, რადგან ვინც გაზეთს კითხულობდა ოთხოცს მიტანებული კაცი იყო.

პაუზა.

ქალი: თოვს?

კაცი: თოვს. ყველაფერი თეთრია, სახურავებიც რასაკვირველია...

ქალი თიშავს ტელეფონს.

პაუზა. ქალაქის ხმაურები ექოსავით გაისმის, ისინი თითქოს თავისებურ მელოდიას აჟღერებენ. ქალი რეკავს.

ქალი: რატომ აღარ დამირეკე?...

კაცი: სადა ხარ?

ქალი: მეგობართან, მას შენც იცნობ – ვისაც უნდა ჩემი გულის დაპყრობა.

კაცი: ვისაც სილა გააწანი და ვინც ბევრს ლაპარაკობს ტელეფონზე. გასაგებია.

პაუზა.

ქალი: მა-კო-ცა.

პაუზა.

კაცი: რატომ მიყვები ამას?

ქალი: იმიტომ, რომ მაკოცა.

კაცი: მერე?

ქალი: მე-მე, მე კიდე მინდა.

კაცი: გასაგებია...

ქალი: მერე, გიტარაზე დაუკრა და იღერა.

კაცი: კარგად მღერის?

ქალი: ალბათ... იცი, მასთან ყოფნა მსიამოვნებს...

კაცი: გასაგებია. აბა, ბედნიერად.

ქალი: არ წახვიდე... მინდა გელაპარაკო... ახლა რას აკეთებ?

კაცი: მაგ ტიპზე იზრუნე... სასმელს სვამ?

ქალი: კიდევ უნდა დავლიო.

კაცი: გინდა?
ქალი: შენი დაკარგვა არ მინდა, გესმის?
პაუზა.
კაცი: ჩვენ ერთმანეთს ვერ დავკარგავთ... ჩვენ ყოველთვის ერთად ვიქნებით.
ქალი: მაშინაც როცა ის მაკოცებს და მერე...
კაცი: ***(დამცინავად)*** სცადე!...
ქალი: ***(იცინის)*** უცნაური რამ არის ეს ცხოვრება...
კაცი: მართლაც უცნაურია.
ქალი: გული მწყდება, ის შენსავით, რომ არ მიყვარს.
პაუზა.
კაცი: ჩვენი რეალური სამყარო ალბათ არ არის სიყვარულისთვის შექმნილი.
ქალი: მაგრამ, ხომ ვარსებობთ? უამრავი რამის გაკეთება შეგვიძლია. ჩვენ ერთმანეთისათვის ადამიანებიც ვართ და არა მხოლოდ გრძნობები... არა მხოლოდ ხმები და ოცნებები...
კაცი: რაც ვართ, ესეც საკმარისია. იმდენი სისულელე ხდება ირგვლივ...
ქალი: რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო მიჭირს... ***(იცინის)*** თავი მიბრუის!
კაცი: რას აკეთებს შენი ტიპი?
ქალი: ძირითადად მიყურებს. ისე მიყურებს... ვატყობ, დიდი გამოცდილება აქვს ასეთ საქმეებში!
პაუზა.
კაცი: იმიტომ მიხვედი მასთან?
ქალი: რა, არ მოგწონს?
კაცი: რასაც აკეთებ შენი ნებაა...
ქალი: ეჭვიანობ?
კაცი: საიდან მოიტანე!
ქალი: ეწევი?
კაცი: ბევრს... იმდენი მოვწიე, რომ... უნდა მოვრჩეთ ლაპარაკს... "დეგენერატ მეგობარს" მიხედე.
ქალი: ***(იცინის)*** ახლა შევუბერავ... დავიწყებ თავისუფალ ცხოვრებას... მხოლოდ ის მწყინს, შენ რომ არა ხარ ეჭვიანი.
კაცი: არა ვარ.
ქალი: ...თუმცა მგონი ცოტას მაინც ეჭვიანობ.
კაცი: ცდები.
ქალი: კაი ბატონო – ვნახოთ.
კაცი: ვნახოთ.
ქალი: ესე იგი... კარგად ვილაპარაკეთ.
კაცი: ასეთ სისულელეებზე დროს რატომ ვკარგავთ?
ქალი: შენს გამო, შე...
კაცი: ჩემს გამო?
ქალი: ჰოო. ამ ლაპარაკიდან ჩანს, რომ ჩვენ მალე უნდა დავშორდეთ... სამუდამოდ...
კაცი: ნუ ართულებ...
ქალი: ***(იცინის)*** ვართულებ? შე მართლა...
კაცი: ***(ბრაზდება)*** მორჩი.
პაუზა.
ქალი: თუ განშორებაზე ვფიქრობ, ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მართლაც დავშორდებით... ჩვენ ხანდახან კვლავ გადავურეკავთ ერთმანეთსა...
კაცი: დაძაბული ხარ... შენს მეგობარს არ მოეწონება.
ქალი: არ მოეწონება, და ამ ჩემს...
პაუზა.
კაცი: ***(ღიღინებს)*** ცვივა თოვლის ფანტელი, მოდი სანამ ვინმე მოვა!
ქალი: რა ხმა იყო?
კაცი: შენი მეგობრია ალბათ?
ქალი: არა... ეს, სხვა რამე იყო...
კაცი: ჰოო... როგორი მახვილი სმენა გქონია!
ქალი: გააგრძელე!
კაცი: კარგი ბატონო! ***(ღიღინებს)*** ცვივა თოვლის ფანტელი, მოდი სანამ ვინმე მოვა! და-და-დი-დადო! და-და-დი-დადო! რაიმეს გაგონებს ეს მელოდია?
ქალი: მა-გო-ნებს... მაგრამ ვერ ვხვდები, რას... რაღაცას წარსულიდან... არ გაჩერდე ***(ქალიც აჰყვება)*** ცვივა თოვლის ფანტელი, მოდი სანამ ვინმე მოვა! და-და-დი-დადო! და-და-დი-დადო!
კაცი: მეგობარი არ გაგიგიჟდეს!...
ქალი: არ მაინტერესებს... მესმის მხოლოდ ის მელოდია, რომელსაც ჩვენ ვმღერით... მოდი სანამ ვინმე მოვა! და-და-დი-დადო! და-და-დი-დადო!...
პაუზა.

ქალი: იცი არსებობს ესეთი საშინელი სიტყვა, რომელიც ხელს უშლის ადამიანებს იყვნენ ისეთები, როგორებიც უნდათ – ეს სიტყვაა "გუშინდელი დღე".
კაცი: შესაძლებელია.
ქალი: ყველაფრის მიუხედავად უნდა ვეცადოთ ერთმანეთისათვის არასოდეს გავხდეთ "გუშინდელი დღე".
კაცი: გასაგებია.
ქალი: *(გამომწვევად)* არ გინდა აქ ჩემთან ერთად იყო?
პაუზა.
ქალი : გესმის ჩემი?
კაცი : მესმის... იქნებ, მე ვარ ის ვინც არ გგონივარ... ის, ვინც შენს გვერდით არის?
ქალი : *(იცინის)* რატომ გინდა, რომ ყველას ეჭვის თვალით ვუყურო?
კაცი : ეჭვიანი ადამიანი ხშირად უფრო კარგად ხედავს ვიდრე...
ქალი: არ მაინტერესებს... მოდი სანამ ვინმე მოვა! და-და-დი-დადო! და-და-დი-დადო!...
პაუზა.
კაცი: ჩვენ გავჩერდით იმაზე, რომ შენ მეგობარმა...
ქალი: ის თბილი ადამიანია... როცა მას ვუყურებ. თქვენს შორის რაღაც მსგავსებას ვამჩნევ.
კაცი: ყველა კაცი რაღაცით ჰგავს ერთმანეთს.
ქალი: "გუშინდელი დღე"... "გუშინდელი დღეეე...
კაცი: ...რა მოგივიდა? გესმის ჩემი თუ არა?

გრძელი ზუმერი. შუქი ქრება. ხანგრძლივი პაუზა.. ისმის წვიმის ხმა. ნათდება. რეკავს ტელეფონი.
ქალი: მე ვარ... შენთანაც თოვს?
კაცი: კი.
ქალი: გიხარია სახლში რომ ხარ? ქუჩაში კი ბნელა და ცივა... სახლში მარტო მივდივარ.
კაცი: *(იცინის)* რატომ მარტო?
ქალი: იმიტომ... ლოკოკინა სად არის?
პაუზა.
კაცი: კიდე რა გახსოვს?
ქალი: ყველაფერი...
კაცი: ლოკოკინამ ზამთრის წინ დაიძინა...
ქალი: მეტროს შესასვლელში ვდგევარ. კარი დაკეტილია.
კაცი: ჰოო. ახლა გვიანია.
ქალი: მეგონა აქ იჯდებოდი და დამელოდებოდი... აქ, ბაღის სკამთან...
კაცი: *(გაღიზიანებულია)* დიდი ხანია აღარავის ველოდები...
ქალი: კიდევ ვიმღეროთ თოვლის ფანტელებზე...
კაცი: ნუ დამცინი.
ქალი: არ დაგცინი. საკუთარი თავი მეზიზღება.
კაცი: ვერ ვიტან ასეთ სენტიმენტალურობას...
ქალი: გახსოვს პატარა ბიჭის ისტორია?
კაცი: რომელი პატარა ბიჭის?
ქალი: ოცნება, რომ მოპარეს?
კაცი: რას გადაეკიდე იმ პატარა ბიჭს?... საფიქრალი მეტი არაფერი გაქვს?
ქალი: ...არაფერი.
კაცი: არაფერი?... ძალიან გვიანია, მოდი ყველამ დავიძინოთ.
ქალი: ქუჩაში ვდგავარ და ვერ დავიძინებ.
კაცი: დაიძინე სადაც გინდა. გაიგე?
ქალი: შენ დაიძინებ?
კაცი: *(ყვირის)* მშვენივრად...
პაუზა.
კაცი: მაპატიე თავი ვერ შევიკავე.
ქალი: ძალიან გთხოვ ხვალ დილით ადრე დამირეკე.
კაცი: რატომ?
ქალი: ძალიან გთხოვ!
კაცი: მომისმინე ჩემო კარგო...
ქალი: თუ არ გაჩუმდები ყვირილს დავიწყებ!
კაცი: სერიოზულად?
ქალი: რაიმე ვიმღეროთ, ძალიან გთხოვ!
კაცი: არა...
ქალი: გთხოვ.
კაცი: არა.

ქალი: იმ ტიპს ვისთანაც ვიყავი ააქვს გიტარა, რომელზეც ყველაფერს უკრავს ***(იცინის)*** ყველაფერს რაც მოეპრიანება.

კაცი: ვიცი.

პაუზა.

ქალი: ის, არც პირველი იყო და არც უკანასკნელი...

პაუზა.

კაცი: მერე რა? რაც არ უნდა აკეთო... აკეთე, მერე მე რა?

ქალი: შენ მამართლებ, თუ ფეხებზე გკიდია?

პაუზა.

კაცი: არ ვიცი.

პაუზა.

ქალი: მოდი... მო-დი!.. როცა მოხვალ ყველაფერი შეიცვლება.

კაცი: ეს მარტო სურვილებზე არ არის დამოკიდებული... ჩვენ ვლაპარაკობთ, მერე ერთმანეთზე ვფიქრობთ და მეტი არაფერი. გასაგებია.

ქალი: იქნებ არც ისე შორსა ვართ ერთმანეთისაგან? იქნებ, ახლა შენს სახლთან ვდგავარ? ზედა სართულის ფანჯარაში შუქი ანთია. ღმერთო, დამინახე! გეხვეწები, დამინახე!

კაცი: ***(გაღიზიანებული)*** აზრზე, მოდი გოგო. გააჩერე ტაქსი და წადი სახლში.

პაუზა.

ქალი: ***(იცინის)*** მართალი ხარ. როგორ ცივა, თანაც დავიღალე.

კაცი: ვერ გაატარე ისეთი დრო, როგორიც გინდოდა?

ქალი: არა უშავს.

კაცი: ***(იცინის)*** არა უშავს, ხვალ კიდევ დაგირეკავენ?

ქალი: ალბათ.

კაცი: ან, შენ გადაუწკარუნებ ვინმეს და კვლავ გახალისდები...

ქალი: ღმერთმა ქნას. ღმერთმა ქნას.

კაცი: ***(იცინის)*** ღმერთმა ქნას.

ქალი: შენ ვინ დაგირეკავს?

კაცი: არავინ.

პაუზა.

ქალი: მე შენ... უბრალოდ – მიყვარხარ!

ისმის ტანგოს მელოდია. ალბათ გადის ერთი წელი. კაცი თიშავს ტელეფონს და ტანსაცმელს იცვლის. ჯდება და სიგარეტს უკიდებს. რეკავს ტელეფონზე.

კაცი: დიდი ხანია იცნობ მაგ ტიპს?

ქალი: შორიდან, ძალიან დიდი ხანია... ისე კი, თითქმის ორი წელია, რაც დავუახლოვდით ერთმანეთს... მას შენც იცნობ... ჩემგან იცნობ. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს!

კაცი: მართალი ხარ...

ქალი: იცი, ბედნიერი არა ვარ.

პაუზა.

კაცი: ***(გაღიზიანებული)*** მაგრამ კმაყოფილი მაინც ხარ, არა?

ქალი: რა მოგივიდა?

კაცი: არაფერი...

ქალი: ახლა სად ხარ?

კაცი: სცადე წარმოიდგინო?

ქალი: არ შემიძლია.

ქალი: მ ე ზღვაზე ვარ და ძალიან მინდა ჩემს გვერდით იყო.

კაცი: ესე იგი – ღმერთო ჩემო?! ცურავ? მზის აბაზანებს იღებ? შოკოლადის ფხვნილმოყრილ ნაყინს მიირთმევ? კიდე რას აკეთებ?

ქალი: ყვე-ლა-ფერს.

პაუზა.

კაცი: მოხარული ვარ... როცა დაბრუნდები აუცილებლად მომიყევი რითი ერთობოდი...

ქალი: გიყვარს ზღვა?

კაცი: ვის არ უყვარს ზღვა!

ქალი: მე.

კაცი: რატომ?

ქალი: იმიტომ, რომ მარტო არა ვარ... იმიტომ, რომ შენთან ერთად არა ვარ... ***(ყვირის)*** ეს ჩემი თაფლობის თვეა. გავ-თხო-ვდი.

პაუზა.

კაცი: ასეც ვიცოდი. ყველაფერი, ასეც უნდა ყოფილიყო.

ქალი: ეს არაფერს ნიშნავს.

კაცი: ვერ გავიგე?

ქალი: ჩვენ ჯვარი არ დაგვიწერია, ყველაფერი მხოლოდ ფარატინა ქაღალდზეა დაფიქსირებული... ასე რომ, თავისუფლად შემიძლია გავ-შორ-დე.

პაუზა.

კაცი: მაგით რას მოიგებ?

ქალი: ეგ შენ უნდა მითხრა...

პაუზა.

კაცი: გგონია ჩვენი შეხვედრით რაიმე შეიცვლებოდა?

ქალი: არ ვიცი.

პაუზა.

კაცი: ***(იცინის)*** იქნებ ჩვენ უკვე შევხვედრილვართ?

ქალი: ჰოო?...

კაცი: არ გახსოვს ერთი გამოხედვა, რომელიც...

ქალი: ერთი გამოხედვა?

კაცი: ერთი გამოხედვა ოდესღაც... თითქოს რაღაცის დაპირება...

ქალი: მეტი არაფერი?

კაცი: არა. კიდევ იყო რაღაც...

პაუზა.

ქალი: ჩვენ, ხომ შევხვდებით?

კაცი: შევხვდებით?... შეხვედრის არანაირი იმედი აღარ არსებობს...

ქალი: ***(იცინის)*** არსებობენ ოცნებები...

კაცი: ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ დატაკი ხარ?

ქალი: არ-რა. რატომ ხარ ასე შორს?

პაუზა.

კაცი: იმიტომ, რომ ჩვენ სხვანაირად გვიყვარს ერთმანეთი...

ქალი: გვიყვარდეს, ვეძებოთ და ვერასდროს ვიპოვოთ?

კაცი: ჯერ-ჯერობით...

ქალი: მაშინ როდის მოვა ეგ დრო?

კაცი: ალბათ, სხვა დროს... მშვიდობით...

ქალი: არა... გესმის მე არ შემიძლია ასე დიდიხანს ლოდინი... არ მინდა... არ მინდა, მხოლოდ ლოდინი...

კაცი: მიმოიხედე ირგვლივ... სად ხარ შენ და სად მე?

ქალი: არ შეიძლება ამ მანძილის დაძლევა?

პაუზა.

კაცი: ერთხელ მაინც თუ შეგიხედია შენი ქმრისთვის ისე, როგორც...

პაუზა.

ქალი: ვერ ვხვდები, რა გინდა ჩემგან?

კაცი: რა ფერის თვალები აქვს?

ქალი: რა მნიშვნელობა აქვს!

კაცი: მისი თვალების ფერი არ იცი?

ქალი: თაფლისფერი.

კაცი: ***(იცინის)*** ის მაღალია, თუ დაბალი და შავგვრემანი, თუ ღია, არც ეს იცი?...

ქალი: ვერ ვხვდები რა გინდა?

კაცი: არც იცი?

ქალი: მისი თვალების ფერია...

კაცი: ***(იცინის)*** ნუ იჩქარებ, სწორი პასუხი გვჭირდება...

ქალი: მას უკვე დიდი ხანია ვიცნობ.

პაუზა.

კაცი: თუ გახსოვს, იმ დღეს რა გაჩუქა, როცა სიყვარულში გამოგიტყდა?

ქალი: მახსოვს. სუვენირი – ფიფქის ფორმის ოქროს საყურეები და ბეჭედი..

კაცი: აი, ხომ ხედავ! ჯერ კიდევ ვერაფერს ხვდები?...

ქალი: ვერაფერს.

პაუზა. რაღაცას ხვდება, მაგრამ არ არის დარწმუნებული.

ქალი: აბა, პატარა გაქურდული ბიჭის ისტორია? ლოკოკინა, რომელიც ორნამენტებით ლაპარაკებოდა?

კაცი: აქამდე არ გიმღერია მასთან თოვლის ფანტელებზე?

ქალი: არა.

კაცი: არასოდეს გიკითხია მისთვის ბიჭის და ლოკოკინას ისტორია? ჰკითხე, ისე როგორც მე მეკითხებოდი და ყველაფერს მოგიყვება?

ქალი: ***(დაბნეულია)*** ჩემი ქმარი, ასეთ რამეებს მომიყვება?... ***(იცინის)*** არა, მას ლოკოკინები არ უყვარს. არც რაიმე სხვა ისტორიები იცის!

კაცი: ჰკითხე!

პაუზა.

ქალი: შენ სხვა ხარ, ის სხვაა. შენ სევდიანი ხარ, ის კი მხიარულია. შენ ჩემსავით მარტოობა და კომპლექსები გაწუხებს, მას კი...

კაცი: ეგ, ძალიან დიდი ხნის წინ იყო ჩემო კარგო და ძვირფასო... მანამ სანამ შენ შეგხვდებოდა მიწისქვეშა გადასასვლელთან!

პაუზა.

ქალი: ***(გაოგნებულია)*** ესე იგი, მე შენ გიპოვე?!

კაცი: ***(იცინის)*** რა ვიცი! შემოსასვლელისაკენ გაიხედე! ახლა ის ბარში შემოვა, მიმოიხედავს და შენ დაგინახავს. დაუძახე მას და გვერდით მოისვი...

ორივენი ტელეფონებს თიშავენ. შემოდის კაცი, დაინახავს ქალს და ღიმილით უახლოვდება მას.

ქალი: ჩემო კარგო და ძვირფასო...

კაცი: ბოლოს და ბოლოს ის მხოლოდ ჩემი გამოგინილი ასლია და მეტი არაფერი. ის...

ქალი: ***(აღფრთოვანებულია)*** გაჩუმდი. დმერთო ჩემო! დმერთო ჩემო, როგორ მიყვარხარ?!

ქალი და კაცი გვერდი-გვერდ სხდებიან. ქალი კაცს თვალებში დიდხანს უყურებს და მერე ნაზად კოცნის. სცენა ნელ-ნელა ბნელდება. მუსიკა.

tel – 877 76.62.94